




ქართული
გრაფიკა



ბეჭდვები

ფასი 10.

28 დანაშაუნი 1930

№ 284/48/



ახალი უმბა ტარტაროზი:-- "წასვლა სჯობს წარმავალისა
არ დაუმგემა ხანისა



ძვირფასო ნინგო!
უპირველესად ყოვლისა მიიღეთ ჩემგან გულწრფელი
სალამი.

რამდენიმე დღეა რაც ინვალიდთა სასახლეში მომა-
თავსეს.

მართლაც რომ დავებრებულვარ, ჯანი გამტეხია,
ფენზე ძლივს დავდივარ. საკვირველი აქ არაფერია. ვინც
წარსულს იცნობს, მას არ გაუკვირდება ჩემთვის ასეთი
ბედის წვევა.

საჭიროა სიმართლის თქმა. თვითკრიტიკა იმას კი
არ გულისხმობს, რომ მხოლოდ თავის შეცდომები აღიარ-
ოს და ღვაწლი დაფარო, მიღწევები მიჩქმლო.

შეცდომები ვის არა აქვს. მათგან დაზღვეული არა-
ვინ არ არის. თვითკრიტიკის მიზანიც ის არის, რომ შეც-
დომებს ვასწორებდეთ, შეცდომებზე ვსწავლობდეთ. მეც
მქონდა შეცდომები, რაც არ დამიმაღავს და რასაც ვას-
წორებდი, მაგრამ ამავე დროს დამსახურებაც აქვს. საბ-
ჭოთა წესწყობილების განმტკიცებისათვის სხვებთან ერთ-
თად მეც მიბრძოლია. რამდენიმე წელიწადია, რაც პირ-
ნათლად ვემსახურები მას.

თავის ქებით, ან ყოყონობით ნუ ჩამომართმევ და რე-
ლიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი ღვაწლი მიმიძღვის.
ჩემსა და ღმერთს შორის ბრძოლა მუდამ არსებობდა.
ამ ბრძოლის შედეგი ყველასათვის თვალდინახულია. დღეს
ღმერთი დამარცხებულია, ისიც ინვალიდთა სასახლეშია

მოთავსებული. როგორც გავიგე ხელისუფლება მუშაობდა
სათვის ინახავს თურმე მას. ის ჩემზე უარეს მდგომარეო-
ბაშია. ძლივსა მიცნო.

ჩემი უბედურება გაუხარდა:

— აჰა, ეგეც შენ, ჩემო დაუძინებელი მტერო. მეც,
მაგრამ,—შენც!—დანახვისთანავე მომადახა და მის დაღრე-
ჯილ სახეზე სიხარულის ელფერმა გაითამაშა.

— რა გიხარია, შე უბედურო! შენ ხომ ქვეყნად არა-
ვინ გრჩება, მოისპე, გადაშენდი. ერთათ-ერთი რომის პაპი
გყავს და ისიც მალე შენს მდგომარეობაში ჩავარდება. მე
კი ღირსეული შემკვიდრე **ნიანგი** მყავს-მეთქი!—გუპასუ-
ხე.

ეს სიტყვები მას ალბათ ლახვარევით მოხვდა გულში,
წამოიწია, უნდოდა საწოლიდან წამომდგარიყო და ყელში
მცემოდა, მაგრამ ვეღარ შესძლო და სარეცელზე დაეცა.

მეტი რაღა უნდა მოგწერო, ძვირფასო ნიანგო, იყა-
ვი კარგათ, მხნედ, არ დაინდო საბჭოთა წყობილების
მტრები ვინც უნდა იყოს, შინაური თუ გარეშე.

27 დეკემბერი 1930 წ.

ინვალიდთა სასახლე

შენი ერთგული ტარტაროზი

რედაქციისაგან: „წერილი მივიღეთ ამხ. ნიანგისაგან, რო-
მელსაც ასეთი წარწერა აქვს: „დაიბეჭდოს „ტარტარო-
ზი“-ს უკანასკნელ ნომერში პირველ წერილად“.

ნიანგი

რედაქციის პასუხი

წუხელის ღამით ყოფ. „ტარტარო-
ზი“-ს რედაქციის ბინაზე შეიკრი-
ფა თანამშრომელთა და მკითხველ-
თა კრება, რომელზედაც მოხსენებით
გამოვიდა ს. თ.-ისა.

მან განაცხადა:

— ამხანაგებო, ტარტაროზი გადა-
დგა.

— უფრო სწორად, გადაეყენეთ!
— ბოხი ხმით ისროლა რეპლიკა ყუმ-
ბარამ.

— ეს ამდენხანს უნდა მომხდარი-
ყო! — ჩაილაპარაკა ჰაზირამ და მო-
კაუჭებული ჯოხი კისერზე ჩამოიკი-
და.

— ახალი ხელისუფლება ნიანგი
ჯერ კიდევ არა სჩანს. ეხლანდელი
ჩვენი მდგომარეობა მოგვაგონებს
რაღაც რევოლუციის პირველ დღეებს, რო-
ცა ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბე-
ბული ახალი ხელისუფლება, მაგრამ
არც ძველი ხელისუფლებაა სათავე-
ში.

ამხანაგებო — განაგრძო ამხ. ს.
თ.-იამ, — ხალხს ჩვენ უნდა გავაგე-
ბინოთ, რომ ეს, ასე ვსთქვათ, უსისხ-

ლო რევოლუცია, საქმეს წინ წაიყ-
ვანს და ამიერიდან ჩვენი იუმორის-
ტული ჟურნალი უნდა გახდეს ღირ-
სეული — ამრობილი საბჭოთა კავ-
შირის სხვა მის მსგავს ჟურნალებსა.

ამხანაგებო, ჩვენ ვამბობთ:

— არ არსებობს ღმერთი, ქრისტე
და მათი ამქრები.

მაშასადამე, არ არსებობენ ტარ-
ტაროზი, ეშმაკი და მათი კამპანია.

ამგვარად ტარტაროზი თავისი სო-
ციალური წარმოშობით მიუღებუ-
ლი ელემენტია.

აი, ამიტომ რამდენიმე ამხანაგებმა
მოვახდინეთ გადატრიალება.

— რომელიც ლოგინში გადატრია-
ლებაზე უფრო ადვილი გადატრია-
ლება იყო! — წამოიძახა ონისიმემ და
ისევე განაგრძო ძილი.

— უნდა ითქვას სიმართლე, რომ
წინააღმდეგობა არავის გაუწევია.

— ანდა ვის უნდა გაეწია, როცა
ტარტაროზი არასოდეს არ არსებობ-
და! — დაუმატა ისევე ყუმბარამ.

— ნიანგისა და ბიბლიის შესახებ

რას იტყვი, ამხ. ს. თ.-ია? — შეეკითხა
ისელო.

— მე შენ გეტყვი და ვერ გიპასუ-
ხებს! — გადაუჩურჩულა ისეღს ტერ-
სიტმა.

— ბიბლიას ნუ მოაგონებთ, თო-
რემ ზეპირად იცის და გათენებამდე
ილაპარაკებს! — ამოიოხრა ახლადგა-
ღვიძებულმა მელუშამ.

— ერთად გეტყვი ორივეს შესახებ,
— განაგრძო ს. თ.-იამ. — გადაშალეთ
ბიბლია, გვერდი 215, წიგნი მოსესი
ლევიტელთა მიმართ და წაიკითხავთ:
„ქვეწამავალნი, რომელნიც ძვრებიან
ქვეყანასა ზედა... და ზვითქი, რომელ
არს ხმელსა ზედა“.

ზვითქი, იგივე ნიანგი ცხოვრობს
თბილ ქვეყნების ზღვებში, მაგომამ
ამის შესახებ თვითონ გეტყვის თქვენ,
როცა ხელისუფლებას სათავეში ჩაუ-
დგება.

ამ დროს მოვიდა რადიო-ცნობა:
„გამოვემზავრე. პირველ იანვარს
დილით საქართველოში ვიქნები და
მხვდით.“

ნიანგი“

გუკი მოღის

შობის წინა ღამეა. რაღაც 8-10 საათის შემდეგ უნდა დაკრას საათმა, როდესაც პრიმიტიულ ქალაქ ნახარეთში (სადაც მაშინ კონკაც არ ჰქონებდა), კვალიფიციორ მუშახელს დურგალ იოსებს შეეძინა ერთადერთი ვაჟი იესო.

გარეთ ცივა. ქუჩებში ელექტრონი ბრწყინავს. ქარხნებში მესამე ცვლა მუშაობს. სახლში, სადაც ეს ამბავი ხდება, თბილა. ყოფილი ღვდღოს, ამაჟაად ჩვეულებრივი მოანგარიშის ბინა ელექტრონით არის გაჩირაღდნებული. ყოფილი ღიღელი, ამოამად კოოპერატივის ნოქარი, ყოფილი დიაკვანი და დღევანდელი შიკრიკი — ყოფილი მზათე.

— ხნისა მცირესა შემდეგ დაკრავს ჟამი, როცა იესო იშვა წიალსა შინა აბრაამისასა! — ამბობს ყოფ. დიაკვანი.

— რომელი ამბრაამის წიალს ამბობ კაცო, რომელი ამბრაამი იყო ფხმძიმედ, ამ ნოქრობამ ასე გამოგაჩურჩულტა? — უჯავრდება ყოფილი ღვდელი, — როდის იყო რომ აბრაამა იესო შვა?

— უკაცრავად მამო, წიალსა მარაამისასა, თუმცა ეგ არ სცვლის ჩვენი საქმის ვითარებას...

— წამიკითხე რა სწერია მაგ ვაზეთში!

— აქ ვილაცა მუკის მოწოდებაა...

— ვინაა თუ იცი ეგ მუკი? ეტყობა ვინმე უცხოელია...

— არ ვიცი ვინაა, მაგრამ დიდი კაცი უნდა იყოს. ა უყურე:

„მუკის გავლენა შეუჩერებლად იზრდება, მასები ირავმებთან მუკის გარშემო, მუკის რიგებში მილიონიანი არამიაა...“

— ალბად სამხედრო პირი იქნება! — არ ვიცი! (განაგრძობს).

„მუკის უჯრედები ყველგან უნდა დაარსდეს, მუკმა უნდა გაშალოს ფართო ავიტაცია - პროპაგანდა“.

— ავიტატორი ყოფილა, ვინმე დიდი ბოლშევიკი იქნება! — კვლავ ამბობს ღვდელი.

— ეტყობა უპარტიო არ უნდა იყოს, — ადასტურებს მნათე.

„მუკის უჯრედები მთელ მსოფლიოში მოედო და მისი სახელის ხსენებაზე თრთიან რელიგიის კულტის მსახურნი“.

— ალბად კომინტერნში მუშაობს და იქიდან სწვდება მთელ ქვეყანას, ეგ ალბად ძველის ძველი კომუნისტი იქნება...

„ახალგაზრდობა განსაკუთრებული აქტივობით უნდა დაირავმოს მუკის გარშემო“.

— უყურე, უყურე, რყენიან ახალ-

ტყის ქურდები (შრომის ხე)



ღმერთი: — თავს ვუშველოთ, ტყის მცველი გამოჩნდა.

გაზრდებს... ერთი თვალთ მაჩვენა, რა კაცია ეგ მუკი!.. გაჯავრებით ამბობს ყოფილი მღვდელი.

ჩუმდებიან. ბუხარში კენესით და ვაივაგლანით იწვის ნედლი შეშა. უცებ ქუჩიდან მოისმის ძახილი:

— მუკს გაუმარჯოს! ფართო გზა მუკს! მუკი მოდის!

ყოფილი ღვდელი შიშით ეკვრის ყოფ. დიაკვანს. მნათე პირჯვარს იწერს.

კარები ფართოთ იღება და გიჟვით შეპობის მეზობლის ვაჟი.

— გამარჯობათ, რამ შეგაშინათ, დემონსტრაციაა ქუჩებში!

— აქაც მოვა შვილო?.. რა სიკეთე მაქვს რომ მივართვა... — მუკი? მუკს მირთმევა არ უნდა, თითონ მიირთმევს, მუკი ძლიერია...

— ღმერთმა უშველოს, მაგრამ აქ ნუ შემოიყვან... საიდან ჩამოვიდა?

— ვინ, მუკი? აქ არის კარგი ხანია.. ჩვენ ყველა შიგ მუკში ვართ...

— დიდ არს უფალო სახელი შეენი... როგორ მუკში ხართ, კაცში?

— არა ამხანაგო, მუკი კაცი კი არ არის, ორგანიზაციაა: მ.უ.კ. — მებრძოლი უღრმეთთა კავშირი...

მუკი ქვეყანას მოედო და ყველგან სინათლე შეაქვს, ხუცებსა და ბერ-მონოზნებს ერეკება აქედან იქით, საიქიოსკენ! წამოდით, ჩავწეროთ მუკში!..

— აჰ! მე სიცხე მაქვს ორომოცი გრადუსი, — შიშით ამბობს დიაკვანი.

— ვაიმე, პაპასკირი გამოჩნდა, — ყვირის ღვდელი და დამბლა ეცემა.

ტყისტი.



აი, ალილო, ალილო!
 ღვეძლო გრძელა - გრძელაო;
 დიაკონი და ხუცესი
 შენ დაგენაცვლოს ყველაო.

ყველით და კვერცხით გატენილს
 გშვენოდა ყავარს გდებოა;
 ფოფოლია თუ მღვდელს უყვარს,
 ის ღვეძლით გასუქდებოა.

ეკლესიიდან ზარები
 სოფელს გასძახის „ბრესაო“:
 „მოდით ყოველთა მომსვენელთა,
 ქრისტეს შობაა ღღესაო.

ბეთლემში იშვა, ბაგაში,
 ქალწულად ღედა შერჩაო“!
 ეს რომ იოსებს აუწყეს,
 მან მხრები აიჩეჩაო.

ერთი წელია ხასად მყავს,
 რა სიქალწულე დარჩაო;
 ღვთის ძედ ჩემს ნაყოფს სახედენ,
 მე მეკუთვნოდეს „ბაღჩაო“?!

ძე ჩემი ა' ის, ვერ დავთმობ!
 ღმერთმა მიჰქაროს ცაშია!..
 ჯავრიან გულზე ღვინო სვა,
 ზედ დააყოლა ხაშია.

ასე ბაგაში მივიდა,
 სადაც ძე ეწვა, შობილი,
 მხოლოთ, ძე რადგან ღვთის იყ-
 იესო ქრისტედ ცნობილი,

მას ნივრის სუნი რომ ეცა
 და დააცხინკვა ცხვირითა,
 შენი იოსებ ღურგალი
 ბაგით შორს გააჯირითა...

და ცხადი არის, მამობაც
 მან დაუწუნა ამითა,
 თუ ხაშის ჭამას დილით არ
 შესცვლიდა ღვეძლის ჭამითა...


მას აქეთ იცნო ღვთის ნება
 პან, იოსებმა წვერ-გრძელმა:
 და ასე შობის საუზმედ
 ააშიც შესცვალა ღვეძელმა!

სურენლოვანი პურიო,
 კვერცხით და ყველით ტენილ
 კიყვარდით ცხელი პურიდან
 იეთრ ფაფად გადმოღვინილი!..

თანაც რომ სიგრძე-ფორმითა
 ჰგავს იოსების წვერებსა,
 და გვერდს უმშვენებს იორსებო
 ტაბლესს თუ სეფისკვერებსა!..

ონისიმე.





1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ ჩვენს სოფელში ახმაურდა ეკლესიის დაყრუბული ხარები, გაიწმინდა დამტვერიახებული ხატები. ჩვენი მღვდელი მიხეილი სულ გადავით ვადაიქცა.

— ხომ გეტყვობდით, სულიერო შიველებო, რომ კამეჩის მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩება — მეთქი. ვინ გეიგონა ხელმწიფის წინააღმდეგ ბრძოლა, ვიკ გაასწორა ცა და დღეამიწა, უნცროს - უფროსობა? ეს პარდაპირ წარღვნაა, წარღვნა! არწმუნებდა ის ეკლესიის გაღვანში შეგროვილ გლეხებს.

— მამაო, რაც იყო, იყო, ყველაფერი ახალგაზრდობის ბრალია, ესლა შენ უნდა დაგვენარო, ისხნა ჩვენი სოფელი განადგურებისაგან: შენ მღვდელი ხარ, ყველაფერს დავიჯერებს ალიხანოვის რაზმი, სთხოვე ჩვენს ნაგიერს: ნუ გადაგვიბუფავს ამდენ ნაამაგარ სახლ-კარს! — ემუღარებოდა მამაო მიხეილს მოხუცი გლეხი.

— ესლა ამბობთ მაგას! — დაბრიალა მღვდელთა თვალები, — რატომ მაშინ არ აძიოდით ხმა, როცა ეს ვარეწარი სოციალისტები გიჭირულებდნენ: „ეკლესიაში არ წახვიდეთ, მღვდელს დრამა არ მისკეთ, არც იქორწინოთო! მაგრამ მაშინ იმედი გქონდათ გამარჯვების არა? ვერ მოგართიეთ, ესლა გვიანდა!

— მოდი, მამაო, — სთხოვა მეორე მოხუცმა გლეხმა. — ხატი მაინც გვათხვე, ჩვენ მოხუცებულები დავიჭერთ ხელში და ისე შევეგებებით იმ ალიხანოვის რაზმს; იქნებ უფრო მტევიცოდონ.

ჩაფიქრდა მღვდელი. ცოტა ხნის დღეობის შემდეგ მან დინჯათ გაიწმინდა წვერ - ჟღავში, ხელი მოჰყიდა გულზე ჩამოკიდებულ ოქროს წყალში შეღებულ ვერცხლის ჯვარს და სხეზე გაბრწყინებულმა სიქვა:

— სახარებაში სწერია: „არა მსურს ცოდვილთა სიკვდილი, არამედ სიკოცხლე და სინანული“. რადგან ინანიებით ცოდვებს — დაგებმარები, ხატს გათხოვებ, და მეც ვაგიძღვები წინ, მხოლოდ ერთი პირობით.

— ბრძანეთ, ბრძანეთ მამაო, რაც განდა დაგვაგაღე ყველაფერს აგისოლებო, ოღონდ ეს უბედურება ავვაშორე თავს! — გაისმა ოოებებში ხმები.

— მე მოვიტხოვ მხოლოდ იმას, რაც კანონით მერგება.

— ე. ი. დრამას, არა მამაო?

— დიან, დრამას, თქვენ იცით, რომ რაც ეს ახალთაობა შემოვიდა, რაც ერთობაზე ლაპარაკი დაიწყეთ, მე ერთი კაპიკი არ მიმიღია. თუ დღეიდან რი დღის განმავლობაში მთლიანად შემეგროვებთ მიუღებელ დრამას, რაც, შემოიღია დაგებმარებით.

— შეიძლება ზოგს ახლა ფული არ გაქვთ ხელზე, — განაგრძო ისევე მღვდელმა, — მე შევალ თქვენ მღვდლობაში და მივიღებ დრამის ფულში ცხვარს, ღორს, ქათამებს, ინდოჯრებს და ოჯახის ავეჯეულობასაც.

გლეხებმა მართლაც პირნათლად შეაბრულეს დაპირება: ორი დღის განმავლობაში მათ აუარებელი ფულები ჩაუხხრიალეს ჯიბეში მღვდელს. ცხვრები კი იმდენი შეაგროვეს, რომ ძლივს ეტეოდა მღვდლის ეზოში.


ალიხანოვის რაზმი კი თანდათან ულოცდებოდა ჩვენს სოფელს.

— მოდიან, მოდიან! — გაგარდა ჟცხად სოფელში ხმა, — უკვე დღეებთან არიან მოსული ყაზახები. სოფეს ცეცხლს უქიდებენ.

— ნუ გეშინიათ. — ანუ გეშინებდნენ შეშინებულ ხალხს მოხუცებული გლეხები, — აგერ ჩიონ მღვდელთან წავალთ, ის წინ წავგიძღობა და ჩვენს მაგიერად სთხოვს ბატიებას.

გლეხები მართლა გაეშურენ მღვდელთააკენ.

— აბა, მამაო, ალიხანოვის რაზმმა უკვე შემოღდა ფეხი ხარაგოულში და ჩვენს სოფელ კიჩისკენ მოეშურება, თინახმად დაპირებისა, გაგვიძებ, წინ და გადაგვარჩინე.



— არა, მე ვგ არ შემოიღია, გუშინ ბრძანება მივიღე ქუთათსიდან, რომ მოვდელმა არ ჩავერიოთ ალიხანოვის საქმეში! — უბასუხნო მოკლედ მიხეილ მღვდელმა და შებრუნდა სახლში.

ალიხანოვის რაზმმა ბევრი საღებები დაწვა ჩვენს სოფელში. საღამოს ჩვენმა მღვდელმა მიხეილმა ყაზახებს იაეთი ვახშამი გაუმართა, რომ გათენებამდე სულ „ურა“ იხსნეს.

— აბა, მამაო, ბრძანეთ რამდენი ხანია დრამა არ მიგიღია! — უთხრა მღვდელს რაზმის უფროსმა.

— წელიწადზე მეტია, შენი კირომიე.

— მაშ კარგი, საღამოს მთლიანად ჩაგბარდება! — და რაზმის უფროსმა შეუტია სოფელს. ამუშავდა ყაზახების მწარე მათრახები დრამის ფულის ასკრეფად.

— დრამის ფული გუშინ ჩავაბარეთ მღვდელს! — ამბობდენ გლეხება, მაგრამ ვინ უგდებდა მათ ყურს?

საღამოს ხელმძივრედ მიიღო მიხეილმა დრამის ფული. ასე მოატყუა ჩვენმა მღვდელმა გლეხები.

იქნებ საინტერესოა თქვენთვის იცოდეთ — ცოცხალია თუ არა მიხეილ მღვდელი? ცოცხალია.

იქნებ ისიც გეინტერესებთ — თუ რა ცვლილება მოხდა მასში? ამასაც გეტყვით: მან თავის გრძელ წვერულვაშებს „საკრაშინიე“ უკო. ანაფორას მაგიერ „შტაკკად“ გამოეწყო, ჯვრის მაგიერ ყელი „გალსტუკით“ დაიმშვენა და მასწავლებლობის ერთ სკოლაში, ოღონდ გულისფანცქალით კი ელის აპარატის წმენდას.



ტარტაროვის „გშირები“ (ტარტაროვის): — ხომ მოგელო ბოლოს ანია შენზე: აწი ჩვენ ვიცით! (იხ. პირველ იანვარს „ნიანგი“).



საწყალი მამაჩემი!
 რას იფიქრებდა, რომ მას თბილისში საექიმოდ ჩამოიყვანდნ და ჩემი ბინიდან საავადმყოფოში გადაყვანის დროს გზაში სულს განუტევიდა. კოსულაღმის ჩვენი საჭირო იყო მისი აჩქაროთ საავადმყოფოში მოთავსება.

ტელეფონის მიღს ხელი ვსტაცე. — მომეცით სამოცდა რვა, საიდან არის? ჩქარი დახმარება? გთხოვთ ეხლავე გადაიყვანოთ ავადმყოფი საავადმყოფოში. რაო? ცოცხალიაო! რას ამბობ ამხანაგო! რა დროს მადგებიან: გავიფიქრე: ენამ ხომ არ უყავლია, — მეთქი ამხანაგო, გთხოვთ ახლავე გადაიყვანოთ. რაო? არ შეგიძლიათ? მხოლოდ უბედურ შემთხვევებში?

უბედური შემთხვევა, მაშ რა ექნება თუ ავადმყოფი ხელში ჩამაყვდა? რაო? ვინ გადაიყვანო? მხოლოდ სასიკვდილოთ დაჭრილნი, მოწამლულნი, ან და გასრესილნი? ვის უნდა მივმართოთ? სადღეინფექტორი კაპერას? რას ამბობ ამხანაგო? რა მაქვს სადღეინფექციო, ან საკაპე-



ავტომობილი ინფლუენცია...

რა? ამხანაგო, ალლო, არ გესმის? ტელეფონში არაფერი იმოდია. მომეცით 24—04. საიდან არის? სადღეინფექციო კაპერა? გთხოვთ საჩქაროთ გადაიყვანოთ ჩემი ავადმყოფი საავადმყოფოში. რაო? მძიმე თუ არის? რა მოგახსენოთ. დაახლოებით ხუთი ფუთი იქნება. რაო! ასე თქვი ამხანაგო, დიან. მძიმე ავადმყოფია. სიტყე აქვს 41.
 რაო? სოციალიური მდგომარეობა? გლეხია, ამხანაგო. კოლექტივის წევრი. წლოვანობა? სამოცდა ათის. სად მსახურობდა? სოფელ ეკლანხეთში, მიწის მუშად. ცოლიანია თუ უცო-

ლო? ამხანაგო, როგორ შეიძლება ანექტის შევსება? გთხოვთ გადაიყვანოთ ავადმყოფი და გიხალბით კამერაში და ანექტასაც შევსებ.

რაო? დღეს ვერ მოასწრებთ? რატომ? ერთი კვირის გადაუყვანელი ავადმყოფები გვყავთ? რაგში ჩამწერთ? ამხანაგო, ამხანაგო, 1-ლი მისაბე ტელეფონში მაგრამ ჩემი არავის ესმოდა.

ღამე თეთრად გავათენეთ. არავის გვძინებია. ავადმყოფი მთელი ღამე კვენსოდა. გაათენდა.

ყოველ წუთში მოველოდით სადღეინფექციო კაპერის ავტომობილს.

12 საათია. ავტომობილი არ ჩანს. გავიდა ორი, ოთხი, ექვსი საათი. რვა საათზე, როგორც იყო ავტომობილი გამოჩნდა.

— სად არის ავადმყოფი? — გაისმა ბოხი ხმა და ოთხაში მალალი ტანის თეთრხალათიანი ახალგაზრდა შემოიჭრა.

— ის არის! — მიუთითე ავადმყოფ მამაჩემზე, რომელსაც წააყვანად ამზადებდნ.

— აბა, ჩქრა, წავიდეთ! — მიმართა მან მამაჩემს, რომელსაც სიცხის გამო სახე აელვარებოდა და სრულ გონებაზეც არ იყო.

— ვინ არის ნეტავი, — მაი კაცი? რა უნდა ჩემგან? შეუძინებული თვალე ბით და ტირილის ხმით მომმართა ავადმყოფმა.

— მამა, ნუ გეშინია, ეს ექიმი, დოქტორი, — განგებ ვთქვი, რომ ავადმყოფზე დეზინფექტორს ცუდათ არ ემოქმედება...

— ამხანაგო, ვერ ხედავთ, რომ ავადმყოფი ფეხზე ვერ დგება... წადით, მოიტანეთ, საკაცე.

— არა უშავს. ავადმყოფს გარება მოუხდება, მხრებში შეუღდეთ! — სიტყვა მან.

— ამხანაგო, გთხოვთ მოიტანოთ საკაცე! — ისევ მივმართე მას.

— მე ჩემი საქმე უკეთ ვიცი, საკაცეს ორი კაცი სჭირდება, მე კი ერთი ვარ.

— ერთიც მე ვიქნები, წადი მოიტანე! — კატეგორიულად მოვთხოვე მას საკაცე.

როგორც იყო დავითანხმე

რამდენიმე ხნის შემდეგ ავადმყოფი ავტომობილში გვყავდა და მას გვედით მე და მოწყალეების და უჯექით.

ავტომობილი დაინძრა. — ვაიმე, ვაიმე ქვეყანა იქცევა, სახლი თავზე მენგრევა! — ყვიროდა ავადმყოფი.

მართლაც ავტომობილი ისე ინფლუენციადა, რომ ჩვენ რეზინის ბურთებით ვეხეთქებოდით ერთმანეთს. დეზინფექტორი კი შოფერს გვირდით უჯდა და ასე მღეროდა:

„დეზინფექციურ კამერას დაჯღრეული ავტო ყავს ავადმყოფსა რა მოარჩენს, ვინც ამითი ვადაწყავს.“


როგორც იყო საავადმყოფოში მივალწით. ავტომობილიდან საკაცე გადმოვიღეთ და მისაღებ ოთხში დავდევით.

— აბა, გასცალეთ საკაცე! — ბრძანა დეზინფექტორმა.

— როგორ თუ გავსცალოთ? — გაკვირვებით შევეკითხე მას.

— როგორ და ისე გასცალეთ!

— ხომ ხედავთ ამხანაგო მძიმე



ხელში მამაჩემის გვამი შემრჩა...

ავადმყოფია, მისი ერთი საკაციდან გადმოყვანა მეორე საკაცეზე დაწვენა შეუძლებელია, საჭიროა მისი პირდაპირ პალატაში შეყვანა. ეს არის ერთი წუთის საქმე! — აუხსნა მას ახალგაზრდა მორიგე ექიმი ქალმა.

დეზინფექტორი თავისას მოითხოვდა.

ძილებული ვიყავით მისი ბრძანება შეგვესრულებოდა.

ის იყო ავადმყოფს ხელი მოვიკიდეთ, უნდა წამოგვეყენებოდა და მეორე საკაცეზე დავგვეყვინა, რომ ხელში მამაჩემის გვამი შემრჩა...

ამ სურათს ყველა მწუხარებით შევსცქეროდით, დეზინფექტორი იქმდებოდა და თავის საკაცეს მოელოდა. ყუმბარა.

— ვაზო, თუ ძმობა გწამს, მითხარა: სად ყიდულობ ამდენ ღვინოს, ან რა ფასებში?

— ვაი, შენ დაგიდგა თვალეზი. წყლან მიინც ვერ დ ანახე ჩვენი სარდაფიდან რომ ამოვიღოდი ღვინით დატვირთულ ჭუჭუნსთან ერთად?

— სადაა, კაცო, ის ოხერი, თქვენის სარდაფი? მე ვგ პირველად მესმის.

— უი შენს პარტონს უბედურს, რავე ჰშიერ-წყურვალი მოკვდება შენს იმედზე დამყარებული?! ბიჭო, პატიმართა დამხმარე კომიტეტის ღვინის საწარმოო სარდაფი აღმასკო მის ქუჩის 12 ნომერში ქვეყანამ იცის და შენ ოჯახდასანგრევეო, შენ რამ შეგიკრა ფეხი, რომ ერთხელ მაინც არ შეიხედე შიგ?!
— მაპატიე, მაგ დაუდევრობისათვის ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ერთი ეს მითხარა — იქ ტყვილა ხომ არ არიგებოდა ღვინოს?

— უგ წადი და ჰკითხე კომიტეტის მდივან ვალიკოს! შეიძლება შენი ხათრი იმდენად არ მოიღვას, რომ ტყვილა არ მოგცეს, მაგრამ აღარც უმიძსო იქნება, — სამ თუმანიან ღვინოში 10-12 მანეთს ვერ გაღებდი, შე გლახა?

— ბიჭოს, რას ამბობ, კაცო ვინ მამაძიოი და რჯულდალი არ გაღებდი?! ეგ ხომ მართლა მუქთათ ყოფილა!?

ერთი თუ ორი დღის შემდეგ „დახმარება“-ს გამგეს წარუდგა კაცი ბართით ხელში.

ბართში ეწერა:

„მიეცი თვითღირებულ ფასში ერთი ვედრო ღვინო 12 მანეთად“.

გამგემ ახელ-დახელა ბართის მიმტანს რა ..

— გაგვანადგურა ამ ვალიკომ! თითო ვედრა კახური ღვინო ჩვენვე გვიჯდება 25 მანეთამდე. ის კი ყოველდღე რამდენიმე ვედრობით მაყიდვინებს 10-12 მანეთად.

და ცოტა დაფიქრების შემდეგ გადასწვიტა:

— მოდი ამას მაინც გავატან რატევის ღვინოს, რომელიც ცოტა ნაკლები, 18-20 მან. გვიჯდება.

მართლაც გამგემ გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა, მაგრამ... ვაი ასეთ მოყვანას.


მეორე დღეს დილით ადრე ისევ ის კაცი ღვინოს სარდაფის კარების წინ იდგა წინა დღით ნაყიდ ღვინით და ახალი ბართით ხელში.

ბართში ეწერა:

მდებარე დღო „ადეთრი ქაეს

„ბიჭო, შე ვირისთავო, რას მაიმუნობ! ხმა ამოუღებლივ გაატანე ამ კაცს კახური ღვინო, ხოლო ეს რა-

ხუცესი: — წინადაც ღვინოს სარდაფად მქონდა, — უამრავი ღვინო მოჰქონდათ მორწმუნეებს ზიარე ბისათვის.



ჩვენის ამბებები

ველისციხე კახეთში განთქმული სოფელია.

იშვიათია „ტარტაროზი“-ს ისეთი ნომერი, რომელშიაც ამ სოფელზე არაფერი ეწეროს.

წერილები და გაზეთები უზოუკლოთ იკარგება (ალბათ „თესვის კამბანიას თუ ატარებენ“).

აქაურმა ელექტრონმა ამ ბოლო დროს „არშიყობა“ დაიწყო. წამდაუწყუმ თვალებს „აქნებს“, თვალეზი სინათლე გამოიღო. ექიმები ბლოდად ჩამოვიდნენ გასაკურნათ, მაგრამ ვერაფერი უშველეს.

ტევისის ღვინო ქე გამოართვი და თვალეზი შეისხი. აღარ გაბედო აწი მაგეთი მაიმუნობა, თორემ...

ბართზე ხელს აწერდა ვალიკო.

„დახმარება“-ს გამგეობამ უკმაყოფილოთ შეასრულა განკარგულება:

— ერთი მუშგლეხინის ყურამდე მივიდეს ეს ამბავი და მერე კი დავინახავ, რომელი მაიმუნობს!!!

კოლოლი:

თვითველ დაწესებულებაში რამოდენიმე ანტი-საბჭოთა ელემენტთა მოკალათებული.

ნათქვამია: „როგორც ქუხს, ისე არა წვიმს“ (აქაურ გამწმენდ კომისიებე ვამბობ). წმენდაზე საწყალი ზაქარა და გოპაროკა ოფლში იწურებოდენ, თვითკრიტიკა ფართოდ გასალეს; მათმა სიტყვამ გასჭრა და ყველა უღირსები აპარტიდან გამოწმინდეს.

მაგრამ დროთა განმავლობაში „გამწმენდილები“ ისევ „მეწმინდენ“ ე. ი. შეძვრენ თავთავიანთ ბუნავში, უფრო უკეთ რომ ვთქვათ, ისევ დასხდნენ თბილ ადგილებზე, ანუ მდაბიო ენით-ყველამ თავისი თანამდებობა ჩაიბარა.

ამიტომ ესთქვი, გამწმენდ კომისიებე „როგორც ქუხს ისე არა წვიმს“ მეთქი, ვინაიდან ზოგი-ორი თვით მოხსნეს, ზოგა - ადგილი გამოუცვალეს და ასე.

ღენტო

მაგათ შიშტრიზინე

კანკრაზ ცხრა წელიწადს დევია-რები მამა და შვილი გაბრილატბუ-ლი და გაფცქენილი, რავარც საჯავა-ნოს სასადილოა დღეს გამობანკალე-ბულ-გამობხვიშტიკინებული.

საეკლესიო მიწა-წყალი კომუნის-ტებმა წამართვეს, (წვერთვა მაგათ პირში სული). დავრჩი 200 წლის ჯო-რის ამარა. იგიც ვალში დავაგირავე და ფული დროზე ვერ გადავიხადე, ასწო და ქე წვიყვანა მევალებ. მე ქე გამომივიდა წირვა, რავარც ღანბო ქვიტირის სამკითხველოს გამოსდის წირვა უპატრონობით.

9 წლის განმავლობაში 9000 ფუთი ცრემლი დავაქციე. (დევქვა ბოლშე-ვიკებს სისხლი და ბოლდამი).

ჯერ მარტის ცხვარივით გამკრი-შეს, სამსახურს მოგცემთო. მართლა ქე ვიყავი ერთხანს უჩიტლად, მარა რაცხა საუბედუროთ ერთ დღეს უჩე-ნიკებს დილის ლოცვა ვასწავლე; გე-იგეს და დამარტყეს ორვა პანდური. ქე არ დამასრიალეს ქონიან ნიჩაფზე!

ზაინც ეს კომსომოლები ცუდათ მეპყრობიან და არაფრად მაგდებენ, რავარც „ვაზის უბანი“-ს სანერგეს გამგე გ. ძხელაძე არაფრად ავლებს „ტარტაროზში“ გაწერას.

ფოფოლია ანუსიას ეგშალა ნერვე-ბი; დღე ერთია და გულის ხეთქვა—ასი. (უფალ ღმერთსა ვითხოვ გაა-სივოს გულზე, ვინც მე ამისთანა დღეში ჩამავდო).

ასე გადიოდა თვეები და წლები. მეგონა ღმერთმა და კაცმა დამივიწყ-ყათქვა, მარა რალაც ფხარი ექვა კო-მუნისტებს და არ ჩამაბარეს ჩემა ეკ-ლესია?!


აქეთ ვეცი, იქით ვეცი. გადავპარსე რამდენიმე ცხვარი, გვეიკეთე წვერ-ულვაში, ივანიას ჭილოფის ქული წა-ვართვი. პეტრიელას — პოლსაპოშ-კები. მაკრინიას — შავი კაბა. ნეს-ტორიას — პალტო. ჯვარი ქე მქო-ნდა შენახული; გავაკრიალე სილაში, გაუყარე სინი. გავაქნიე და გამოვაქ-ნიე საცეცხლური და დავალიდინე ალილუია.

გალოუკიენე ნადიკენარ სილი-ბისტროს და გევიგდე წინ.

შობის დღეა, ხუმრობა არ გეგო-ნოსთ. ასტყდა ზარის გრიალი, წკრია-ლი, რაკა-რუკი და კაკა-კუკი. ხალ-ხის ზღვა დადგა.

მეც ავგუგუნდი ეკლესიაში და დე-ვიწყე წირვა. წარვა პირველი 9 წლის შემდეგ.

უცებ შემოვარდა ვილაცა კომსო-მოლა და დამიწყო ჩხუბი — ეს ეკ-ლესია ჩვენი კლუბიაო.



რომის პაპი:— ინათლების მონა ღვთისა სისხლითა დამღვრული-თა ხალხისა მიერ „ღვთისისა“.

მეცა, ვეცი, მოეწა, ვლეწე, წოუ-ქირე ხელი ყრონტში და ვახრობ.
— ხომ არ ვაგიუდი, კაცო? — მო-მესმა ყურში კივილი.
უცებ გამომეღვიძა. გავშეშდი. თუ-

რმე ცოლს ვახრობდი ლოგინში. ეკლესიაში კი წარმოდგენა მიდი-ოდა და ხალხის სიცილ-კისკისი გუ-ლში ეკალივით მხვდებოდა.

ჰარჰაროზი ნეუნდაჲ



9
ქრონოლოგი
გიორგიოთქა



ნიანგი:—მოქ. ტარტაროზი ჩვენთვის მიუღებელი ელემენტია, ვინაიდან ის რელიგიის ურწმუნო შვილია, არ არსებობს ღმერთი, არ არსებობს არც ტარტაროზი!



ბათუმი სიქვა:—გამარჯვებას ჩემს მეტი ვერ დაიჩემებს. თან ვლებულობ, თანაც ვტვირთავ ნავთ-ბენზინით მოზრდილ გემებს.

ვიჭერ თევზებს, სულ შევკარი ვასავალი მათი გზები. მართალს ვამბობ, შენ გფიცულო მკითხველო, ნუ მომიკვდები.

წელს პროფინზლანს წავაჭარბე, გემმაც შევკარ საგაისო, შენი საქმე როგორ მიდის, ამხანაგო ქუთაისო.

ჭუთაისმა გაიღიმა,

გაისროლა დიდი ფრაზა.

— მე როინპეს შემოვევლე, ჩემი გული მან დახაზა.

მხოლოდ ფოთის ვერ გავიგე— რას აკეთებს, რას აპრობს. ზღვაზე ისევ თვალთმაქცობს თუ კვლავ ამაგრებს ის ნაპირებს!

შავ ქვას ბლომად ერეკება საზღვარ გარეთ იგი მგონი, ამ შავი ქვის ხსენებაზე ამეტყველდა ზესტაფონი.

მან სიქვა: „ფერომარგანს ვაგებ“.

და შავ ქვაზე იქვე ითქვა,

იმას ჩემს თავს გადავაგებ,

ჩხლა ტფილისს მივცეთ სიტყვა.

ტფილისმა კი მის მიღწევებს

არ ახადა ჯერეთ ფარდა;

მხოლოდ შეჯიბრს ყური უგდო,

ვაეცინა, გავხარადა.

ს. ძნელოლი.

„მ რ კ მ კ ი ღ ა მ რ კ მ კ ე“

სიტყვა — „ერკობი“ იმდენად პოპულარული სიტყვაა ჩვენს დროში, რომ მას ზედმეტი კომენტარები აღარ ესაჭიროება, რადგან ის ითქმის ყოველ ერის ენაზე მუშათა კოპერატივის ნიშნავს.

ცოტა უფრო რთული გასაგები გახლავთ სიტყვა „ორკობე“ ანუ უფრო სწორად, ალბათ, „ორკობი“, რომელიც „ორისა“ და „კობისაგან“ უნდა იყვეს შემდგარი.

„კობი“ ყველამ იცის, რაც არის: ამოსულ — ამოკულულად დაკოსებული რამ ზედმეტი საგანი საღ სხეულზე თუ მის ნაწილზე; მაგალითად: კობი შუბლზე.

მაგრამ უფრო გასაგები ხდება ეს სიტყვა, თუ მის ასახსნელად გურულ კილოვას მივმართავთ. გურიაში „კობე“-ს ეხასიან მწარე გოგრას მაგარი ქერქისაგან გამოთლილს კოპობს, რომელსაც ხის ტარი აქვს გაყრილი და წარმოადგის ერთნაირ ხელსაწყოს, რომლითაც ღრმა და დიდი ჭურჭლისაგან იღებენ ღვინოს, წყალს ანუ საზოგადოთ რაიმე სითხეს.

ასეთივე კოპობებს ხმარობენ ტანზე დასაკრავ რუსულად წოდებულ „ბანკებათ“ და ამიტომ არ შევცოდავდით, თუ „ბანკებათ“ ამიერიდან თვით ქართულ „კოპობის“ ნაცვლადაც კი, ვიხმარდით ლიტერატურაში პირდაპირ „კობებათ“.

მაგრამ დაუბრუნდეთ „ორკობეს“. „ორკობე“ ანუ უფრო სწორად — „ორკობი“ ნიშნავს ზევით აღნიშნულ მწარე გოგრას მაგარ ქერქისაგან გამოკრილს კობასა და ზედ თოკებით მიმაგრებულს სარს სახელურს. ეს სახელურები ორივე გრძელია, რადგან ისინი იხმარება დიდი ჭურჭლის დიდი სიღრმედან, მაგალითად, ქვევრის ფსკერიდან ამა თუ იმ სითხის ამოსაღ-

ბად ამოსაწურავად, როგორც არის, მაგალითად, ფსკერზე დასული ღვინის ძირი, უმეტეს შემთხვევაში აძმარებული ან მრლედ ანუ მთხოოდ დაკრეფილი ღვინის ნაშთი.

ამ მიზნით „ორკობეს“ ერთი სახელური პირდაპირ ტარად აკიდებული აქვს სამი ანუ ოთხი თანასწორი ძაფით, ხოლო მეორე სახელურს მიმაგრებულია კობზე ერთი უფრო გრძელი ძაფით ხალვათად, რათა ამ სახელურის საჭიროების დროს კობში მოქცევით ჩასძიროს ის სითხე იმისათვის, რომ კობი აივსოს სითხით, ხოლო იქიდან ამოღებულს სავეს კობს კი იმავე სახელურს ბსკერში პანლურივით ამოპკრავინ და ამ ამოღებულ სითხესაც პირიდან წამოანთხევიანებინ.

როგორც ხედავთ „ორკობი“ დიდის ოსტატობით არის გამოგონილი. მის ნაკლს მზად გაცილებით უფრო მოკლე კოპობისთან შედარებით მხოლოდ ის წარმოადგანს, რომ მას ღვინის ძირად დაკრებულ ძმარისა და მთხლის ამოსაღებათ „კობე“ შესვამა, ხოლო ამ კარგი ოინის ძირა — ძმარისა და მთხლეს კი ახოვან „ორკობეს“ მიუხედავად ამოსაქაჩად.

და „ორკობეც“ მის და სანაქებოდ უნდა ითქვას, პირნათლად და მთელი თავისი გულ-ბოყვის სიერთეულით ასრულდება ამ მაინცა და მაინც არასაბაჭითა საქმეს.

თუმცა არა საბაჭით ეს საქმე მხოლოდ ნახევრად არის, ვინაიდან ძირზე დაკრულ ძმარ-ღვინოს ამოღება ამოღებაზე ნაკლებათ საბაჭით სულაც არ გახლავთ, თუ შეხედველობაში მივიღებთ იმას, რომ უძმაროთ გურიაში არც ერთ გემოთი ვანთქმულს შექამადს არ აკეთებენ.

მიუხედავად ყოველივე ამისა, „ორკობეს“ ყველა საბაჭით შრომათა შო-


რის ყველაზე უფრო საბაჭით შრომად მაინც ჩუტრის ბსკერიდან ამხარული ღვინის ამოღება უნდა ჩაითვალოს, რადგან ასეთს გურული ყველაზე უფრო გამოჩენილ ღვინოზე მეტი სიფრთხილით ეკიდება, მის ერთ წვეთსაც კი არსად დაღვრის, ქვევრიდან ამოიბრუნოს მას ოფლისად საქმარო ღრქში მოათავსებს, კირის ზევიდან ნაპარა ანუ ოჯინჯალზე გამოჰკიდებს და იქ მის სიმძარეს ხელოვნურად კიდევ ოთრო აძლიერ-ანვითარებს, რათა შემდეგ ასეთი ძმაროთ გიყვარდეთ ლობოს შექამადის, ვინდ ინდაუდის საცვივის შემზადება და შუქათ-ქათ ლომის გუნდის ლაზათიანად ამოვლება.

და „ორკობესაც“ შეგნებული აქვს ძმარის ეს უპირატესობა ქვევრიდან ამოღების დროს, როცა იგი ამ წითელ ძმარს ლამაზ-ფერებათ მიივლ-მოივლებს ხოლმე ფერებზე, თითქოს წითელი ღვინით გამოტყინებულაო.

ძმარის ეს უპირატესობა ჩვენში საქართველოში სამწუხაროთ, მხოლოდ „ერკობს“ არ ესმის.

არაგჯერათ ჩემი და, შებრძნდით „ერკობის“, რომელ სათანადო სავაჭრონიც გნებავდეთ, და თუ თქვენ იქ გასასყიდა ძმარი იპოვნოთ, ხანვიც ყურზე მე დამაჭერთ ზედ და ძმარი დახანხით და ასე სახელდახელო შემზადებულ შექამადით შექცევას რომ დაიწყებთ, „კობით“ ღვინოსაც ზედ დასაყოლებლად უკვე მე თითონ მოგაწოდებთ ჩემი საკუთარი მარნიდან, რომლისთვისაც, შიოს მარნის მაგიერ, მე საგანგებოთ ამ შემთხვევისათვის „ნოეს ვაზი“ მირქმევია.

შაწირა.



კომედი

ნახ. ბოკურავასი, ქუთაისი.

„გაუმბარონა“
ნახ. რაშაძის, ტფილისი.



— რაშია საქმე, რომ ამ ერთ ვარიას მთე ღი ოჯახი გამოყოლიხართ?!

— სახლში რომ დაგვეკლა, არ გვეყოფოდა; გავყიდი ბაზარში და სახადლოში ყველანი მავრად გამოვძღვით.

„სტეპანდინატი“

ნახ. ხოფერიასი, ქუთაისი.

„ტულდეთა საპარიკმაზერო“

ნახ. ყურაშვილის, ტფილისი.



— ამოზენ: „ცხრაას სუთი რეპეტიცია იყო ოქტომბრისო“. რეპეტიციის დროს გენერალი ვიყავ; ესხა კი პაპიროსებს ვყიდი. ეს არის საშართალი!

„სულფრეული რჩემა“

ნახ. ნათბილაძის, ქუთაისი.



— ვანო, რატომ არ დადისარ სასწავლებელში?

— რა მაჩქარებს? ჯერ კიდევ ათი დღეა სტუმენდიის მიღებამდე.

„სბედღრემა“

ნახ. შვიდილოზაძის, ზესტაფონი.



— მეგობარო, რას გარბიხარ!?

სტუდენტი: — უკაცრავად, მოვსტყუვდი — ჩვენი საპარიკმაზერო მეგონა, თურმე სანაგვე ყოფილა!



— ამხანავო, გირჩევნა ჩემი ღრმით წამოხვიდე; სულმართია, ბილეთის აღებამდე მე უკვე ხონში ჩავყვანი!

„კულტმუშაობა“

ნახ. ალაგოძის, ახალ-სენაკი.



— რა გატორებს, ქალო?

— როგორ თუ რა მატორებს, ჩემი ქვარი კოოპერატივის ნოქროზიდან რაიონის თავმა ჯდომარეთ დაუნეშნავთ.



„განცხადება! გალატანის გამო სამეითხველო 1 წლით დააწილია“

კულეპი



ეროვნული
გაზეთი

ორი ნახვი და კურდღელი,
რას არ იზამს ეპას ხელი.

ა. ჯა.

ხრისილი-ჭყვი



თანამედროვე ტენიკამ დაიპყრო
აივრცე. ეს მოვლენა დღეს გაკვირ-
ვებას აღარ იწვევს.

მაგრამ საკვირველი ის არის, რომ
პრიმიტიული სატრანსპორტო ტენი-
კა, როგორც არის ადამიანის ფეხი,
უკან არ რჩება ავიაციას. აი, ამისი
ტოცხალი მაგალითი:

ხრისილი დაშორებულია სოფ. ჭყე-
ვისაგან ათი ვერსის მანძილით. ეს
მანძილი გადალახებული და დაძლე-
ულია ეკატერინე ჭინჭველაშვილის
ფეხით, და აი როგორ:

ეკატერინე მასწავლებლობს სოფ.
ჭყეპში და ამავე დროს სასამართლოს
მდივანად მსახურობს ხრისილში. რა
ეუყოთ, მერე რომ საქმე ორივე ად-
გილას ფერხდება.

ამგვარად, ეკატერინემ, რა თქმა
უნდა პროტექციისა და „მფარველის“
შემწეობით, დაამტკიცა ორი ანდაზის
უსუსურობა: „ერთ ხელში ორი ნეს-
ვი არ დაიჭირება“ და „ორი კურდღ-
ლის მიმდევარი ვერც ერთს ვერ და-
იჭერსო“.

შესაძლებელია, ვერც ორ კურდ-
ღელს იჭერს და ვერც ორ საზამთ-
როს, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ
ჯამაგირს ორივე ადგილიდან მაგრად
იჭერს.

მოგვაზოგათ ერისთავი
სამხე გვიყო მებად ავი

„მნახველი“

ხრისილი, ზიანთურა



შენდება, აღარ აშენდა
ჩვენი სოფლისა სკოლაო.

რა ააშენებს იმ საწყალს,
გარდაგება ბევრი ბრძოლაო.
მოიჯარადრეს მიუგდეს,
ჭამე და შეგერგებაო.
ნუ შეიწუხებ თავს შრომით,
ოდესმე აშენდებაო.
და ერემიაც ნავარდობს,
არ ატკენია თავია.
ან და კი რა ჰქნას ამ კაცმა,
თავადი ერისთავია.

შეაწუხა მთელი დაბა,
რომ ჩაიცივა გრიზამ კაბა.

შანცი

— ფოთი —



გრიზამ სთქვა: ტოფობა ქალისა,
არ მასვენებს ღამითაო.
მისი სახე არ მშორდება
თვალზე ერთი წამითაო.

მე რომ ქალად გარდავიქცი,
რა იქნება ამითაო?!
წავიდოდი ორღობითა
და უმთვარო ღამითაო.

თავსა ქალად ვაჩვენებდი
ტანზე ჩაცმულ კაბითაო.
სახეს სულ მთლად შევიცვლიდი
თავზე შავი შარფითაო.

და მშიერი კულა-მელა
იქითკენ მიიპარება.
რომ არავინ დაინახოს,
ღობე-ყორეს ეფარება.

„წავიდა, იქ მიტუნტულდა
სადაც ვარია ჯდებაო“.
მიდამო ამბავს გაიგებს
და ყველა ფეხზე დგებაო.

გრიზამ იკადრა გაქცევა,
არ არის მთლად ძაბუნია.
(პო, მართლა, ყველა იცნობდეთ,
გვარი აქვს მას გაბუნია).

თავს იმართლებდა შემდეგში:
— მე არ მომსვლია ეგაო!..
კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო,
სარასკეცია ზეგაო.

კოლექტივის თავმჯდომარე,
გლენაზუა თავს მჯდომარე.

სალამური

დიდი-ჯიხანიში



კულაკებს თავს ევლება
როგორც ერთგული კრუხი.
ცხვრის ქურქში არის იგი,
ნამდვილი მგელი რუხი.
სად არ მოისმის მისი
გინება მონაქუხი.

მწარე აქვს კონსტანტინეს
სალამი და პასუხი.
კულაკზე ზრუნავს მუდამ,
ტრაქტორი ავიწყდება.

ტრაქტორი მინდვრად გდია.
ქანგდება, ლბება, ტყდება.
უყურადღებოდ დაღმა
სოია, თივა, ჩაღა.

რას არგებს ჩვენს კოლექტივს
კულაკის მაჩახალა?!

იეჩიძონის საპვირსაო,
ვინ ამოსდგას აღვირსაო?

ორ-გი


სადგური ქარაილი



ვერ შეედრება ჩვენს უფროსს
ყვირილში ორთქლმავალია.
(მით უფრო, როცა ღვინითა
გალეშილი და მთვრალია.

ავად გახდება, თუ ღვინო
სათრობად მან არ დალი.
ჯერ ის არავის უნახავს,
სწორ ფეხით მიმავალია)

ნეტავი ჩვენო უფროსო,
არ დაგძინოდა კვერთხზედა.
გამოგიქოროლებს გაწმენდა,
დაგაჯენს ლაყე კვერცხზედა.



— ჩვენი ბიჭი პეტია მოდის, პაპიროსი დამალე, თორემ შავ ღლებს დაგაყენებს.




— ამას არ გამოუწერია „ნ წლედი—4 წელში“-ს ხესხის ობლიგაცია. (შეგიძლიათ სურათი ამოაჭრად და მოაღაფსოთ თქვენს კედლის გაზეთში ასეთივე პიროვნების სახელისა და გვარის წარწერით).




— ჩვენს წინააღმდეგ კიდევ დეკრეტი გამოსცეს!
— რა დეკრეტი?
— დეკრეტი საყოველთაო სწავლის შესახებ.



— ჩვენზე კიდევ იტყვიან, რომ გულზე ხელდაკრეფილები სხედანო?!



— მართალია შეზრდიან ქარხანას, აქაც ისე სძინავთ, როგორც სახლში.



— ტყუილს ამბობენ — რკ. გზებზე კატასტროფებიაო! მთელი ნახევარი საათია აქ ვდგევარ და ერთი მარცხიც არ მომხდარა!

ბელაჟორების საზაბაგოლოების უფროს მუხას ივანოვს.

ასლი

ყველას, მხოლოდ არა ფოსტა-ტელეგრაფის უწყებებს და მისი მუშაკების კავშირს

ივანოვ! შენ გაიმარჯვე!.. ვიწვევ ყურს, ვაკეცვ თითს მე შენს წინაშე!
მემათლუბა ბუნება და კაცი! რა მსჯიდა, ვინ მეკითხებოდა, რომ ჩაეცრიე შენს საქმეში?

რატომ დავიფიქრე ძველი ბრძნული თქმულება:

— „ნაღში მკლამი მენაფეს არ ეჩხუბებოდასო“.

რა დიდი მიხედობა უნდა იმას, რომ თუ ჩემი ტელეფონი წინეთ ენა მოვლექილი იყო ხოლმე ხანდახან, ჩემი შენთან წახუბების შემდეგ ის სულ დაყრუვდებოდა და დამუნჯდებოდა!

რა თქმა უნდა, ასე უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდევაც!

მერე რა დახელოვნილი, ნამდვილი იუმორით იყრი ჯავრს ჩემზე! ვიცი, რომ ის შენა ხარ, რომელიც ხშირად დამირტყავ ხოლმე და შემომეკითხები:

— ნომერი კეთილ—სამოცდაწვილი?

— დიახ!

— კარგათ ისმის ლაპარაკი?

— ამ წუთში კარგათ ისმის,

მარა...

— კარგი, კარგი!.. გავასწორებთ!.. და შემდეგ დაყრუვდება და დამუნჯდება ისევ მანამ, სანამ კიდევ არ შემომესმის ზემოთ მოკვანილი შეკითხვა.


ასე და ანაირად გადის თვეები მის შემდეგ, რაც მე და შენ შეტლა-შემოხლა მოგვისდა ერთმანეთ შორის!

მეტი რაღა გზა დამირჩენია, თუ არ მოვიწვევ ყურს და არ მოვკაცე თითს მორჩილათ შენს წინაშე?

ივანოვ! მაკბარე ჯავრის ამოყრა!

ივანოვ, შენ გაიმარჯვე!..

შესაფერი პატივისცემით ს. თ.—ია.



გორში მორწმუნეებმა მოახერხეს ორი ეკლესიის აგება. ერთია მართლ-შაღიდებლების, მეორე გრიგორიანების. ამავე დროს გორში სააღმშ. მასალოს...
კოეობაა.

ვაზეთებიდან.



სამარეწმუნელი: — ჰოი, დასწყევლოს მუკმა, მე აქ აგურს სანთლით ვეძებ, ხუცებმა კი თითქმის ვაბისწორეს ტემპებში...

(ოზურგეთის აბრეშუმბა ქარხანა)

— ჰოი, მაგინის დღეს... მოხსნა

ნეს ხომ? არა უშავს! ისეთი საქმე მოუხერხო, რომ სულ თვეები ვაწყველინო. რაც არ უნდა დამიჯდეს, 4—5 კაცს მაინც „ჩავიგდებ“, გულს მოვიფხან და მერე მე ვიცი! — სთქვა ჩარხნის მთავარმა ბუხვალტერმა დათიკო პაიჭაძემ და თითი შუბლზედ მიიღო, რა, იმისი ნიშანი იყო, რომ დიდი საკითხი ჰქონდა გადასაწყვეტი! ჩემი მოხსნა ამხანაგების მოხერხებაა; ვაყურებინა სიერის!

მეორე დღეს დათიკოს ასეთი საუბარი ქონდა ბუხვალტერიის თანამშრომელ კონტრიძესთან:

— ბიჭო, ხომ გახსოვს თავს როგორ გვეკლებოდი? სამსახურშიც მე მოგაწყვე, ზედმეტსაც გიწერდი და ამრიგად საქმე კეთდებოდა. ჩემს მოხსნას მაგინს მე იოლად არ დაუჯენ; მხოლოდ საქიროა შენი დახმარება.

— ჰო, სთქვი რა გინდა და რას აპირებ? რა იყო?

— რა იყო და ის იყო, რომ საბუთები მოიპარე. მე რომ ვიჯექი, ამ მაგიდის მეორე უჯრაში არის სამასი ათასი მანეთის საბუთები. წაიღე და ჩასტინე საპირფარეოში, რევიზია მოიღოს ამ დღეებში. როდესაც მათ ამოინი დაწკლისი აღმოაჩნდება, გაითდა ჩიენი საქმე. მე ანგარიში ყველა სწორად ჩავაბარე. როგორ მოგ?

— არგია, კარგი, ჩემო დათიკო, ნამდვილი კვაჭი კვაჭანტირაძე ხარ, მაგრამ რომ შეგვიტყონ?

— ნუ გეშინია, მე აგერ ვარ; შენ იცი!

ბუხვალტერია რევიზიას ელოდა და ყველა საბუთებს ამოწმებდა.

სამასი ათასი მანეთის საბუთები არსად აღმოჩნდა.

კონტრიძე იმ დოეს არ გამოცხადებულა სამსახურში. მეორე დღეს გვიან მოვიდა.

შეიძრა ბუხვალტერია, მილიცია, პოლიტსამმართველო; ამოძრავდა ნასოსი, რასაც ამოჰყვა საპირფარეოს მილიდან სამასი ათასი მანეთის საბუთი.

ჩავარდა დათიკო და მას მიჰყვა კონტრიძეც.

ესლა ორივენი გამსახლში სხედან.

ყლაპაძე.



(ოკრიბა)

—თავო ჩემო, ბედი არ გიწერია!
უნდა ისევ გავიკრიჭო წვერია;
კარგი იყო არ დამეწყო თავიდან,
შუა ზღვაში გადავარდი ნავიდან.
ხალხს არ ესმის ჩემი ოხვრა, წრია,
ალარ მომდის საკურთხები ტიალი.
ფოფოლია ძლივას დადის ფეხზედა,
ისე ვახდა ვით ნადები სხვეზედა.
ვიძლეოდი წამალს მოსაკლავადა,
მივდიოდი შემდეგ საწირავადა,—
მაგრამ მას შინ ველარ ვნახე ხეირი,
მე კი ამით დამემართა სეირი.
დამიჭირეს ვნახე ვირის აბანო,
მთლად მომსპო და გამათავა აბანო.
არ იქნა და აღარ დადგა საშველი,
არ გამომჩნდა კაცი ჩვენი მაშველი.
თავო ჩემო ბედი არ გიწერია,
მოდი ავღაგე, გავიკრიჭო წვერია.

მედვარიძე.

ს ა ი ღ უ მ ლ ო გ ა რ ა თ ი

ძმაო კირილე.
დღეს მივიღე შენი გამოგზავნილი
გარათი.

იწერები, რომ ფოსტა - ტელეგრა-
ფის წმენდკომისიამ შენთან ერთად
გედევანი, კოლია, სიმონი და იაშა
მოხსნა სამსახურიდანო. გედევანი
ალბათ იმიტი, რომ —ოზურგეთში-
300 მან. სურამში 800 მან. და ნატა-
ნებში-107 მან. „გაიმასქნა“.

გრიშას დახმარებით იმავე დღეს
მოწყობილხარ საპაუხისმგებლო სა-
მუშაოზე, უფრო დიდი ჯამაგირით—
სოცტორგფლოტში, ბათუმის განყო-
ფილებაში, მაგრამ არ იწერები რა
ბედი ეწვია სხვეებს.

ძალიან მოგიხერხებია, რომ ბათუ-
მის ფოსტა - ტელეგრაფის კანტორის
სახაზინო ბინის დათმობისათვის შევი-
დათი მანეთი დააძვრე და ამავე დღეს

ძმა-ბიჭების დახმარებით მეზღვაუ-
რების ახალ აგებულ ბინაში ორი დი-
დი ოთახი უფასოთ ჩაიგდე ხელში.

ჩემის აზრით ეს გაყვლეფაა, თუმცა
კარგი ხანია ზედმეტ სახელად
„ტყველ. ო“ გქვია შენ. ამ ფულიდან
აღბად რამოდენიმე კვარტი ღვინო
იანას, სიმონს და სხვებსაც ერგო.

თიო-თიო

გ ო ღ ო რ ი

ბუშსირაძეს (ქუთაისი). რატომ არ გვწერთ, თუ
რომელ ვახოზეა ლაპარაკი?

გოგბას (ტობანიერი, ვანის რაიონი) არც ასე ძნელი
გამოსაცნობია ეს თქვენი გამოცანა:

დადამდეგა და „სამება“

იწყებს ხანში კარტის თამაშს.

ზოგი ცოტას, და ზოგი კი

ავებს კასის მანეთს სამასს.

წაკითხვისთანავე მიხვდებიან, რომ ესენი არიან: აკა-
კი, კოლია და ილია.

ტარ-ბ-ის, კინო-პალასის შესახებ ჩვენ უკვე გვქონ-
და (იხ. „ტარტაროზი“ №43), რომ:

შიგ შემსვლელს, ძმაო, კინოსათვის არა სცალია.

გინდა ეკრანზე კინო-სურათს უყურო, მაგრამ

მუნ უნებლიეთ პარტრეტისკენ გარბის თვალია,

(როგორ მოშორდე, ხედავ—თვალწინ კოხტა ქალია).

კინო-პალასი ანგელოზთა საბუდარია;

კედლებს „ამშვენებს“ ნიკოლოზის ღერბი, ჯვარია.

ფრინავს კედლებზე ორთავიანი არწივი ძველი

რად ვერ შეახნეს წასაშლელად ამ კედლებს ხელი?

ქოქის (სურამი) გვწერთ, რომ:

„კოოპერატივიდან მენუთეჯერ მოხსნილმა ყოფ. ვა-
ჭარმა არუცოვმა უკვე აღიდგინა თავი დიდი ბებობის დახ-
მარებით და მიიღო გატანილი ფული შეწუხებისათვის
ბოდიშის მოხდით“-ო.

ეს გარემოება მასზე უფრო კოოპერატივის გამგე-
ბას ახასიათებს უარყოფითად. ჩვენ არაფერი დაგვრ-

ჩენია სათქმელა გარდა იმისა, რომ ვურჩიოთ გამგეობას
კიდეც არ დაუშვას ასეთი „შეცდომა“—რომ კიდეც მოხს-
ნას არუცოვი. ხოლო თუ დაუშვებს ასეთ „შეცდომას“,
ნულარ გამოასწორებს მას, ვინაიდან ეს უფრო არგებს
კოოპერატივს.

ხლავს(რის) (ბათომი) მართლაც ხლავს(რისი ყო-
ფილხართ. თუ მართლაც არ შეგვაწუხებთ შემდეგში
ასეთი ლექსების გამოგზავნით, დაგებუქდავთ თქონის პო-
ემიდან ამ სტრიქონებს.

ზღვაში თევზი მიცურავდა,

თავს აქანებს, კუდს-არაო.

ფუტურისტი პოეტი ვარ,

არ ვატარებ ქუდს- არაო.

აღბად არ ავაქვთ და—ამიტომ. (რა შუაშია აქ ფუ-
ტურისტობა). ლექსთა წყობასაც ეტყობა, რომ ასეთ სი-
ცივიებში თქვენ უქუდოთ დადიხართ.

ლექს(რის) (ქუთაისი). თუ თქვენი ლექსური თქვენს
ლექსსავით ბლაგვია, სჯობს შემოიხსნათ და შიინახოთ.
(თუმცა ისიც სწორია, რომ:

ლექსური და ლექსთა წყობა

ვერ არიან შეწყობილი.

ეს ქე ვიცო, მაგრამ მაინც

პოეტის ვარ მე ძმობილი.

შე კი კაცი, თუ კი იცი თავს რილისთის იველებ
და ჩვენც გვაწუხებთ. „თუ არ დაიბაქდა, მასალა სად იქ-
ნებაო“?—გვეკითხებით.

— უფსკერო გოდორში!—გაბასუხებთ ჩვენ.



— დაგვადგა საშველი! მოვისვენებთ — „ბარბაროზი“ მოგვშორდა!
 — რა გიხარია? უარესი მოდის, — „პაის“ გაეყარეთ, „მუში“-ს შევეყარეთ!
 რედაქ. სარედ. კოლეგია; ი. ზ. „მუშას“ გამოცემა სტამბა „კოლექტივი“